საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური თვითმმართველობის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოზე სხდომაზე

ოქმი # 9 30.09.2022

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

თ ე ლ ა ვ ი

2022

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 1. 4

თავი II. დებულებაში გამოყენებული ტერმინები 5

მუხლი 2. ტერმინთა მნიშვნელობები 5

თავი III. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები 6

მუხლი 3. მიზნები 6

თავი IV. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება 6

მუხლი 4. 6

თავი V. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა 7

მუხლი 5. სტრუქტურა 7

თავი VI. სტუდენტური თვითმმართველობა 8

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა 8

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებები 8

მხული 8. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის მოვალეობები 8

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები ... 9

თავი VIII. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო 9

მუხლი 10. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრობა 9

მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრობის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები 10

მუხლი 12. საბჭოს უფლებამოსილებები და მოვალეობები 11

თავი IX. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი 12

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი 12

მუხლი 14. პრეზიდენტის არჩევა 12

მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება 13

მუხლი 16. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა 14

თავი X. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები 14

მუხლი 17. დეპარტამენტის წევრობა 14
მუხლი 18. დეპარტამენტები და მათი მოვალეობები 15
მუხლი 19. დეპარტემენტების დამატებითი ფუნქციები 16
თავი XI. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები 16
მუხლი 20. 16
თავი XII. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა 17
მუხლი 21. 17
თავი XIII. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი 17
მუხლი 22. 17
თავი XIV. დასკვნითი დებულებები 17
მუხლი 23. 17

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა ურყევი ნებაა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, განურჩევლად სტუდენტების სქესისა, კანის ფერისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებისა, მოქალაქეობისა და ეთნიკური კუთვნილებისა, აკადემიური მოსწრებისა და სოციალური მდგომარეობისა, ხელი შეუწყონ მათ მაღალხარისხოვანი განათლების მიღებასა და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, ეყრდნობიან უნივერსიტეტის ტრადიციებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ დებულებას.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში -„სტუდენტური თვითმმართველობა“) არის უნივერსიტეტის სტუდენტების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების წესით არჩეული, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მის უფლებამოსილებას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.

3. ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტებისგან შემდგარი თვითმმართველობის საბჭო შეიმუშავებს თვითმმართველობის დებულებას და ახორციელებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებებს.

4. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ის არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს. მის ფინანსურ ოპერაციებს წარმართავს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური.

5. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს საკუთარი (მრგვალი) ბეჭედი.

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს რაიმე სახით ჩაერიოს ან ზემოქმედება მოახდინოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაზე და მის დამოუკიდებლობაზე.

7. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, ქალაქი თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1.

თავი II. დებულებაში გამოყენებული ტერმინები

მუხლი 2. ტერმინთა მნიშვნელობები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების" შესახებ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) ფაკულტეტი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

ვ) ფაკულტეტის საბჭო - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისაგან;

თ) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო - სტუდენტური თვითმმართველობის მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან არჩეული სტუდენტებისგან; სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოში შემავალი სტუდენტები არიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები, რომლებიც შეადგენენ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის ¼-ს.

ი) პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

კ) თავმჯდომარე - სტუდენტური თვითმმართველობის კონკრეტული დეპარტამენტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ექვემდებარება პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს;

ლ) დეპარტამენტი - კონკრეტულ სფეროში (განათლების, კულტურის, სპორტის, სტუდენტთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის) დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;

მ) ორგანიზაციის დებულება - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

თავი III. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

მუხლი 3. მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

1.დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა.

2.ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.

3.დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებასა და თვითრეალიზებაში.

4.ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმლურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა.

5.ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო განათლების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას; დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

6.დაგეგმოს და ჩაატაროს სხვადასხვა სახის (სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო) ღონისძიებები და გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

თავი IV. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

მუხლი 4.

1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმს *(დანართი №1).*

2. სტუდენტური თვითმმართველობა, უფლებამოსილია მე–3 თავში მითითებული მიზნების განსახორციელებლად მოაწყოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

4. სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია მუდმივი კავშირი საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტურ თვითმმართველობებთან.

თავი V. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

მუხლი 5. სტრუქტურა

1. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება მართვის ორგანოებისა და დეპარტამენტებისაგან.
2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:
   ა) სტუდენტური თვითმმართთველობის საბჭო;
   ბ) პრეზიდენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად სტუდენტურ თვითმმართველობაში იქმნება 5 დეპარტამენტი:

   ა) განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი;

   ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

გ) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი;

დ) კულტურის დეპარტამენტი;

ე) სპორტის დეპარტამენტი.

თავი VI. სტუდენტური თვითმმართველობა

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი შეიძლება იყვნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტები;

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა შეუძლიათ იმ სტუდენტებს, რომლებიც ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე, თვითმმართველობის საბჭოს დასტურით გაწევრიანდებიან სტუდენტურ თვითმმართველობაში. მათ არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემის უფლება. ისინი არ არიან თვითმმართველობის საბჭოს წევრები.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებები

1. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) მიიღოს ყოველგვარი ინფომაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან, მათი საქმიანობის შესახებ;

დ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

ე) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მხული 8. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის მოვალეობები

1. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი და ქონება;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესისი, ეთიკის კოდექსი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) დაესწროს შეხვედრებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) 2 ჯერ არასაპატიო მიზეზით თვითმმართველობის საბჭოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ვ) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

ზ)მობილობის წესით უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

თ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა;

თავი VIII. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო

მუხლი 10. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრობა

1. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს, რომელიც შედგება უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლებისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრის არჩევა ხდება ფაკულტეტების მიხედვით, 2 წლის ვადით. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩევიან სტუდენტები, რომელთა რაოდენობა იდენტურია ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა რაოდენობისა, რომელიც არ უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები; სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრის უფლებამოსილება ძალაში შედის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისთანავე;

4. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრთა არჩევა ხდება სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების მიხედვით.

მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრობის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) 2 ჯერ არასაპატიო მიზეზით თვითმმართველობის საბჭოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

გ) 2 ჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით თვითმმართველობის საბჭოზე გამოუცხადებლობა;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ზ) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

თ)მობილობის წესით უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ი) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა;

მუხლი 12. საბჭოს უფლებამოსილებები და მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს ეცნობებათ თვითმმართველობის საბჭოს ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

3. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

- სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო უფლებამოსილია:
- განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები, ღონისძიებები და პროექტები.
- საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი კომისიები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვისთანავე.
- შეიმუშაოს დეპარტამენტის მუშაობის საერთო პოლიტიკა, მოისმინოს დეპარტამენტის თავმჯდომარეების ანგარიში და წარადგინოს წინადადებები კონკრეტული დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე.
- უშუამდგომლოს სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- დაგეგმოს და განახორციელოს რიგი საქმიანობი სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
- სრული შემადგენლობის 1/2-ზე მეტით დაამტკიცოს ან ცვლილებები შეიტანოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში.
- შექმნას საარჩევნო კომისია.
- აირჩიოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- გადაავადოს საპეზიდენტო არჩევნები 6 თვით;

თვითმმართველობის საბჭოს მუშაობას უძღვება პრეზიდენტი;

სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო ვალდებულია, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, დანიშნოს ახალი არჩევნები არაუგვიანეს 6 თვისა.

თავი IX. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, იგი არის თვითმმართველობის საბჭოს წევრი და უძღვება თვითმმართველობის საბჭოს. თვითმმართველობის პრეზიდენტი წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

მუხლი 14. პრეზიდენტის არჩევა

1. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა ხდება სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების მიხედვით.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, არ არის ნასამართლევი და არ უკავია უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობა.

3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს თვითმმართველობის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის 1/5-ს, ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი მინიმუმ 50 სტუდენტის ხელმოწერას (მხარდამჭერთა ხელმოწერის ფორმას ამტკიცებს თვითმმართველობის საბჭო).

4. პრეზიდენტი არჩეულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს თვითმმართველობის საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. გამარჯვებულად ითლება ის კანდიდატი ვინც მეორე ტურში დააგროვებს ხმათა უმრავლესობას.

6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა თვითმმართველობის საბჭოს მიერ 2 წლის ვადით.

7. მომავალი არჩევნების ჩატარების პროცედურას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია, რომლის ჩამოყალიბებას ახორციელებს თვითმმართველობის საბჭო.

მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;
- წარმოადგენს თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე;
- კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- იწვევს და ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს;
- წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
- ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს, აკომპლექტებს დეპარტემენტების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტების თავმჯდომარეებს/თავმჯდომარის მოადგილეებს;
- სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;
- ხელს აწერს თვითმმართველობის საბჭოს ოქმს;
- მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრთა არჩევნების გადავადებას არაუმეტეს ექვსი თვისა და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქმნის კომისიებს და ნიშნავს მის წევრებსა და თავმჯდომარეებს;
- თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს.

2. პრეზიდენტის არ ყოფნის (ავადმყოფობა, საზღვარგარეთ ყოფნა და ა.შ) შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი;
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე;

მუხლი 16. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს წესით ქმედუუნაროდ, შეზღუდულქმედუნარიანად, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

გ) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

დ) გარდაცვალება.

2. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს არანაკლებ 2/3-ს შეუძლია საერთო კრების დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 4/5;
3. თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ, ვადაზე ადრე თანამდებობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე პრეზიდენტი, ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

თავი X. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები

მუხლი 17. დეპარტამენტის წევრობა

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.
2. დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარის, მოადგილისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისაგან. სტუდენტური

თვითმმართველობის წევრებს არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემის უფლება.

3. დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მოადგილეს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

4. დეპარტამენტის წევრობა შეუძლია ნებისმიერ თვითმმართველობის წევრს, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 18. დეპარტამენტები და მათი მოვალეობები

1. სპორტის დეპარტამენტი:

სპორტის დეპარტამენტი გეგმავს და ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, თანამშრომლობს სხვადასხვა სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და დეპარტამენტებთან, ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა სპორტულ ღონისძიებებს.

2. კულტურის დეპარტამენტი:

კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება კულტურის სფეროს.

3. სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი:

ა) სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის წევრები ვალდებულნი არიან უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტების სტუდენტებთან აწარმოონ მუდმივი კონსულტაციები და ხელი შეუწყონ მათი ცნობიერების ამაღლებას სტუდენტის უფლებების შესახებ;

ბ) სტუდენტის უფლებების დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრები ვალდებულნი არიან მიმართონ და ინფორმაცია მიაწოდონ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო, პრეზიდენტი, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის და სხვა დეპარტამენტების თავმჯდომარეები, თავის მხრივ ვალდებულნი არიან სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მაქსიმალურად სწრაფი რეაგირება მოახდინონ და ოფიციალურად მიმართონ,

რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანს, იურიდიულ სამსახურს ან სასამართლოს (საჭიროების შემთხვევაში);

დ) დეპარტამენტი ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი სტუდენტის განცხადება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

4. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი:

განათლების დეპარტამენტი გეგმავს და ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობადობის ამაღლებას სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ. გეგმავს და ახორციელებს შეხვედრებს სტუდენტებთან, აცნობს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას. უზრუნველყონ სტუდენტთა ჩართულობას და მობილიზებას კონკრეტულ ღონისძიებებზე. წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას სატელევიზიო თუ საგაზეთო სიუჟეტებში. აქტიურად მართავს სტუდენტური თვითმმართველობის სოციალურ გვერდებს.

მუხლი 19. დეპარტამენტების დამატებითი ფუნქციები

ა) პირველკურსელებისათვის საორიენტაციო და საკონსულტაციო სერვისების გაწევა;

ბ) ადმინისტრაციულ რგოლებთან კომუნიკაციაში დახმარება;

გ) აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციაში დახმარება;

დ) სხვადასხვა დამსაქმებელთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაში დახმარება;

თავი XI. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები

მუხლი 20.

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული ფიქსირებული შემოსავალი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება;

დ) დონორებისგან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი;

ე) ქალაქის მერიისგან და ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსული თანხები.

თავი XII. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

მუხლი 21.

გამჭვირვალობის იდეალური დონის უზრუნველსაყოფად თვითმმართველობა ვალდებულია დაინტერესებული პირის (სტუდენტის) მოთხოვნის შემთხვევაში მოახდინოს ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა.

თავი XIII. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

მუხლი 22.

დებულებას შეიმუშავებს და მასში ცვლილებები შეაქვს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ.

თავი XIV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 23.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით მოქმედი ყველა დებულება.